

„დროების“ რედაქცია—სასანლოს ქუჩაზე, დ. სა-
ნაგვიის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАК-
ЦІЮ „ДРОБНА“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ბამონდის ყოველ-დღე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: სურვილზე რვა კაპი ცან-
ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენუ-
ზედა.
თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია განაწილებს
და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за
границы принимаются только въ цент. конторѣ
объявл. Д. Метцль, Москва, Петрова, № 6.“

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

მიიღება ხელის-მოწერა ვაჭეთს

„დროების“ რედაქციაში

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — მ. ჭილაძეების
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როს-
ტომაშვილთან; გორში — აბაღლო თუთაყვითან.

დაწვრილებით პირადები გაზეთის სათაურშია.

მაცნობებთ ნათესავთა და მახლობელთა, რომ წლის წირვა და საფ-
ლაყის კურთხევა განსვენებულის კახიანა ნანა აფხაზისა დანიშნულია შა-
ბათს, დეკემბრის 15-ს, დილის ცხრა საათზე იოანე ლეთის-მეტყველის
ეკლესიაში, მგრაზედ.
(3-1)

უპუბლიკაციო უაღვათ

თბილისი, დეკემბრის 13-ს.

შეცრად მოვლინებული მტერი, რომელიც დიდ-ძალ ხალხსა ჰპოვებს სახლებსა და მიწორ-კანებს ანადგურებს ისეთი საშიში არ არის, როგორც მტერი უჩინარი, რომელიც ჩრჩილსავით ჩასვლამია რომელსავე ქვეყანას და შეუმჩნეველად ნელ-ნელა ზიანს აძლევს. ამ გვარადვე შეიძლება თანამაზა ვსთქვათ, თუმცა იქნება ზოგთ ეს აზრი ახირებულიად ეჩვენოთ, რომ უეცრად მოვლინებული ხოლმე-რა, ჭირი და ჟამი იმდენს ზიანს არ აძლევს-ხალხს, როგორც სამუდამოდ ჩაბუღებული ქუთრუშა, ყივანა-ხვე-ლა, ყვავილი და სხვა ებიდემიურნი სენნი, რომელთაც ჩვენი ხალხი „ბატონებს“ ეძახის და რომელნიც მართლა რომ ბატონყმისებურს ხარკს ითხოვენ ხალხისაგან.

ზანსხვავება მხოლოდ ის არის რომ პირველ ჭირთა შესახებ მგრაზის სწავ-ლულნი ჯერაც კიდევ სამეცნიერო ფარ-ხმალს ამტკიცებენ და დაბეჯითე-ბით ვერ უცვნიან ბუნება ამ კაცო-ბრიობის გამანადგურებელ მტერთა; სამუდამოდ ჩაბუღებულ სენთა ბუნე-ბა კი, ავიდ თუ კარვად, დიდი ხანია გაცნობილია და თითქმის შეიძლება რომელიმე ხალხის კულტურის მანე-ნებლად მივიდროთ ის გარემოება, თუ როგორ აფხინობს ამ ხალხში ქუთ-რუშა, წითელა, ყვავილი და სხვა ამ გვარნი სენნი.

შუა საუკუნოებში, როდესაც ჯერ აკრისა არაფერ რა იცოდა, ეს სენნი და მეტადრე ყვავილი მუსრს ავლებდა ხალხს და ეისაც არა ჰქოვდა, სიკე-დილამდე ისე ამანინ-ჯებდა, რომ ბევრ-ნი უმადურს სიცოცხლეს — სიკვდილსა რჩებოდნენ. მაგრამ, რაკი აკრა იცნეს

საუკეთესო საშუალებად ამ ხენილამ თავის დაფარვისათვის, ყველა ერთ, რომელთაც კი განათლებამო ფეხი უდგიათ, შემორღეს იგი და ეს ისე აუცილებლად მიანიათ, როგორც ახალდაბადებულის ბავშვისათვის ძუ-ძუს-წოვება-ენისნობა იმდენადვე სა-სამწუხაროდ, ჩვენ ვერ დავიკვებებთ, რომ ამ მხრივ ყოველისფერზედ გვე-ზრუნოს და ჩვენი ხალხისათვის ჩავე-გონებინოს ის ღონისძიებანი, რა ღო-ნისძიებთაც შეიძლება თავის დაცვა ამ საშინელ მტერთაგან. მართალია, ყოველ მაზრაში თითო ექიმია და ზოგში ორიც; ზოგან ამ ექიმებს თა-ვიათი ფერწლები და ამტკიცებენ-ა ჰკავთ, მაგრამ ჭაქტი კი ჭაქტად რჩე-ბა: ყვავილი მძინვარებს ჩვენს ქვე-ნის თითქმის ყოველ კუნჭულში და რიგინი საშუალებაც არ არის მიღებული.

მართალია ჰიგიენის მხრივ ჩვენს გლეხ-კაცობის ცხოვრება ისეთია, რომ ამ პირობებში ძნელია ბრძოლა რომელ სენთანაც უნდა იყოს, მაგრამ რომ შემოვირება მანაც შეიძლება, ამის ეჭვი არა გვაქვს.

მართლაც, ყოველს მაზრაში რომ რიგინი ამტკიცებელი იყოს, რომელიც მუდამ უსწრიდეს ხალხს აკრის საქი-როებას და თან მუდამ რიგინი სა-ცრელი ჩირქი იქანოს; საექიმო სა-შოგადობებამ რომ იზრუნოს და ვა-მოსცეს ჩვენსავე ენაზედ ხალხისათვის ადვილად გასაგები ბროშიურა და ამ ბროშიურაში აუხსნას მას, როგორც აკრის საჭიროება ისე მაწებლობა ხალხისაგან ხმარებულ ზოგიერთ ღო-ნისძიებათა, როგორც არის, მაგალი-თად, ჰაერის ამალჩოღობელი ბაზ-მა; რომ მაჯვედ მოექცენ იმ კუთხეს, სადაც პირველად ჩნდე-ბა ეს სენი და არავითარი საშუა-

ლებდა არ დაზოგონ მის ერთ ალაგას შესაჩერებლად და ჰიგიენურ პირობე-ბის გასაუმჯობესებლად.

თორემ ეხლა, თუ ამტკიცებია სად-მე, ხშირად იმისთანა, რომელსაც თა-ვის ხელობისა არა ვაფეხებ-რა, და თუ ვაფეხებ, ან ჩირქი უნდა შემოაკლ-დეს გაჭირვების დროს, ან უვარგისი გამოადგეს. ხალხს საუკეთესო საშუა-ლებად ბაზმები და ივენები ჰგონია და იმის მიმხედრებელი არაფინა ჰყავს არც სიტყვითა და არც წერით, რომ ივენანათი „ბატონების“ დამწყოლობე-ბა ძნელია და ეს ბატონებთა ისე ადვილი მოსატყუებელი არ არიან, რომ ორ-გროზიან კაკლის ბაზმას დასჯერდნ და თავიანთ ნებით მოი-წადინონ ამ ბატონ-ყმურის კავში-რის მოსპობა, თუ აკრით, სუფთაო-ბითა და წინ-დახედული ქცევით, ძა-ლათი არ მოასპობინებინეს.

შინაური მართობა

ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე იყო ლაპარაკი სამთავისის მშენებელ სო-ბორის უბედურ მდგომარეობაზე. ამის გამო დაბარებულ სობორის მღვდელს მ. ც-ძეს მიეცა ეგზარ-ხოსისგან წიგნი ფულების მოსაგრო-ვებლად. მღვდელს ამ რვა თვის გან-მავლობაში ოც-და-ხუთი თუმნის მე-ტი ვერ მოუგროვებია; ეხლა ეს მღვდე-ლი ჩამოსულა თბილისში და ხელოს-ნების ამტკიცების თავს სთხოვს შემწეო-ბას. ჩვენ გვეხმის, რომ თ. შმილახე-რები იყვედრებინ — ჩვენს საგვარეულო სასაფლაო ეკლესიას, ჩვენ მიერ აღ-შენებულს, ამისთანა დღე რად დად-გაო? ჩვენ მთა-ბარი, სახან-სათესი, ვენახები, ყმები შევსწირეთ ეკლესიას, 1816 წლამდე უკანასკნელი სამთა-ვნილი ბერვასი მიტროპოლიტის გარ-დაცვალებამდე ეკლესია სადგენიყო ვერცხლეთით, თვალ-მარგალიტით, შესამოსელით და დღეს კი ეკლესია დატლილია, შიგ ალარაფერიან; მარტო სამთავენელის ბისონი, შაჰნაოზ მეფის ასულის თამარისაგან შეწირუ-ლი, შეინახავდა სობორის დიდ-ხან-საო; ეს ბისონი წაიღეს და ხუთ გირ-ენამდე მარგალიტი აჰყარა დეკანოზ-მა ბ-ვმა და გაცარცული ბისონი მანც კიდევ თითოთ საჩვენებელ სამ-კაულს შეადგენს სიონის სალარო-შიო. შაფუძელო არ არის ეს ყველ-რება: საგვარეულო სასაფლაო ეკლე-სია თავის ავლა-დიდებით საგვარეუ-ლოს საკუთრებას შეადგენს ყველ-გან.

მთავარ-მმართველის თ-დ ღონ-ლუკა-პარსაკაევის თანხმობით, სა-

ხელმწიფო ქონებათა სამინისტროსა-გან შესდგა ცალკე კომისია, რომე-ლიც შეუდგა ამიერ-კავკასიაში იმ ადგილების გამოკვლევას, რომელთაც წყალი და რწყვა ეჭირებებოთ და აგრე-თვე ადგილებისასაც, სადა ჰავა მეტად ნოტიოა და წყალი უფრო ზარალს აძლევს მეურნეობას. კომისიამ ამ მუ-შაობის შემდეგ დაასკვნა, რომ ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთისკენ წესიერის ირიგაციის დაწესებისათვის საჭიროა 4500 ვერსის სიგდის არხები იქნას გაჭრილიო. ამ დასკვნათა გამო სა-ხელმწიფო ქონებათა სამინისტროში ამ ჟამად განიხილება პროექტი წესდე-ბულებათა ხალხის მიერ წყლის მოხმა-რების უფლების შესახებ და აგრეთვე დაწვრილებით შემდგარი პლანი ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის ირი-გაციისა.

ზორის მაზრის ოსეთილამ გვა-ტობინებენ, რომ ზერის ხეობაში მა-ლიან გავრცელებულა საქონლის ჭი-რი-მართს სოფ. მიფარეთში ისე ამო-იწყვიტა თურმე საქონელი, რომ სახ-ლის პატრონებს, რომელთაც წინდ-ოცი, ოც-და-ხუთი სული ძროხა და ხარი ჰყოლიათ, ეხლა ხუთიოდე-ღა-ღარჩენიათ. სენი უფრო თან-და-თან ვ-ცვლდება და ვადადის სხვა-და-სხვა სოფლებშიაც.

იქილამე გვეჩვენებ, რომ ზო-გიერის სოფლებში (მაგ. სათიხარში, ე-ტხანთ-კარში და სხვ.) მძინვარებს ყვავილი და რიგინი ამტკიცელი კი არა-ვინ ყოფილა. მართი ვიდაც ოსი ბ. ჩი-რის თურმე და მისგან იცროლინი მორჩენის მაგიერად იხტაცებინა.

ღაბუ ხონში გასულის ნოემბრის 9-ს უყურთხებით პირველ-დაწყებითი კერძო სასწავლებელი. სასწავლებლის საქმე ჯერ-ჯერობით კარვად მიჰყავსო მასწავლებელ ქალს მ. დ-ას. ღაბის მცხოვრებნი დიდის სიხარულით მიე-გებენ ამ სასწავლებელს, და მადლო-ბას უძღვნიან იმ პირთა, რომელთაც მის გახსნას ხელი შეუწყვესო.

სიღნაღილამ გვეჩვენებ, ამას წი-ნად თქვენს გაზეთში ეჭრა, რომ ქალაქის ხარჯით მიედანზე სამი თიც-რის ლუქანი გააკეთეს, რომლის ქი-რაც ქალაქის გასანათებლად არის დანიშნულიო. სწორედ ამ აზრით არის გაკეთებული ეს ლუქანი ანუ „პავილიონები“ მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ, თვეზე მეტია, რაც ეს პავილიონები გააქირავეს და სიღნა-ღის ოლრა-ჩოლოკა ქუჩებს კი ისე-სიბნელიე გადაჰყარებია. ეს კიდევ არაფერი. როგორც დავგარწმუნეს,

ქალაქის დებულებებს, როცა ფარნების გაკეთება ვალდებულად, მაშინვე დაუნიშნავთ ქალაქის შემოსავლიდან თხუთმეტი მანათი თვეში ქუჩების გასანათებლად. მაგრამ აგერ, წელიწადი ვადის, რაც ეს გარდაწყვეტილება დაადგინეს, ფარნები კიდევ დამართეს ქუჩებში, და ანთება კი არ ეღირსათ.

მაშ სად მიდის თვეში თხუთმეტი მანათი? მსთქვით, ეს ფული არ არის, ვალდებულები, მაშინ „პაველიონის“ ქირა მინც რა საქმეზე იხარჯება? შრიგო არ იქნებოდა, რომ ამ კითხვის პასუხი შეგვეტყოს ვისგანაც ვერ არს.

== წარსულს ზამთარში, გვეწერენ იქილამვე, ერთი ვაი-ვაგლახი ააყენეს „დებოს“ დაარსებაზე ქ. სიღნაღში; წესდება შეადგინეს, დასამტკიცებლად ვაგზანდესო, მაგრამ არ გამოდგა და, შესწორებული, უკანვე მოუვიდათ. ეს წესდება გადასწორეს და ხელ-მეორედ დასამტკიცებლად ვაგზანდესო, მაგრამ აგერ მეორე ზამთარი მოვიდა და სიღნაღში „დებოს“ ჩამი-ჩუმიც არ-სად არის. აღონებულმა სიღნაღელებმა გასამხიარულებლად ახლა სხვა საქმე მოიგონეს; გამართეს ხელის-მოწერა და საკუთარი მუსიკის დაბარება უნდათ დაღერემილის ქალაქისა და მოწყენილის კლუბის გასართობლად.

შნდა ესთქვით, რომ თუ სიღნაღელებმა ისეთი საქმე ვერ მოაგვარეს, როგორც არის დებო, სამაგიეროდ ამ ზამთარს მათ სხვა გვარი სავაჭრო დაწესებულება შეემატა, ეს დაწესებულება გახლავთ: „Товарищество Алеко и Ко“. მიგვილოცნია სიღნაღელებისათვის ეს ბედნიერება!

== ლუჯერებელი ცნობანი მოგედის რედაქციაში ყვავილის შესახებ: „როგორც ვაგივეთ, გვეწერს ერთი ჩვენი კორესპონდენტი თათვანი ამ ორს თვეში წინა-მხარში ყვავილისაგან 3000 სული ყოფილა ავად; ამათგან ათასზედ მეტი გარდაცვლილა, დანარჩენთაგანი, ზოგი კიდევ ავად არის. მორჩინილების რიცხვი მცირე ნაწილს შეადგენს; ყვავილი ვერ-ვგრობით კიდევ ვრცელდება და მისუსტების ნიშანს არ იჩენს. ამტრელები ერთგულად მოქმედობენ და არ ვიცით, ღმერთი რას ინებებს.

== იქილამვე გვეწერენ: წმინდანის ტაძარი სიღნაღს მშენებელი გზატყვილით შეუერთეს. მლოცავთ აქამდე არ შეეძლოთ ურმით მისულიყვნენ ცკლესიაში. ბზას ქვიშის დაყრა აკლია და საჭიროა, მინამ ავდარს დაიწყებდეს, ქვიშა დაეყაროს, რომ დღეობაში მიმავალს, იანვრის 14-ს, ხალხს ასცილდეს ისევ ბილიკით სიარული.

== გ.ზ. „კაკას“ შეუტყვია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ზოგადი მოსამსახურეთ კადრე მიუღიათ ქალაქი იმის შესახებ, რომ ისინი მომავალ 1885 წლიდან შტატს გაქვებენ. ამ

ცნობას გასეთი უმატებს, რომ საჩუქრად ღირსება მომავლის წლისათვის ვერ არ დაუმტკიცებია აქციონერთა კრებას, რომელიც იმ თვის 15 უნდა მოხდეს.

== დეკემბრის 10 დანიშნული იყო ამორჩევა საქალაქო გამგეობის წევრისა, ბ. იშმაილოვის სამაგიეროდ, რომელიც რეგისტრაციას უნდა დასრულებს თავი თავის ადგილს. ეს ამორჩევა გადაუდგია საბჭოს შემდეგის სხდომებისათვის, რადგან ამ დღეს არ შეკრებილა საქალაქო რეგისტრაციის სემინარი.

== გ.ზ. „ნაღ-დასის“ სიტყვით სოფ. გიულანქაშქში მომხდარა შუამდრწუნებელი მკვლელობა. დეიდა-მამას და დედა-ნაცვალს დაუსრჩავათ თავიანთი ყმაწვილი ერთადერთი ქალი და გვამი გალოზე გადაუდგიათ. ოთხი დღის უკან ძაღვებს გამოუთრევეათ ეს გვამი, საზარდად დაგლეჯილი და დამანჩეკებული. ბორც-მომქმენი, მკვლელები შეიქცნენ, დატუსალებულნი აჩანან.

== დუშეთის მახრადამ საზოგადოებას სწერენ გ.ზ. „ნაღ-დასის“ ობოზრენიკის იქაურ მეტეულებზე. ეს მეტეულები სწორედ უხადები თუქმე აჩანს; ისე საშინლად და უღმერთოდ სტრატეგებენ ხალხს, ახდევინებენ ჭარბის და სხვ., რომ სულის დგმა აღარ აჩის იმთავანად.

== ამას წინადა ჩვენს გასეთში იყო გადმოხუჭილი „ბაქას უწყებებიდან“ ცნობა ნათლის მისების შესახებ, რომელიც უძალესად ებძათ სხვადასხვა პირთა და რომელიც ამ უხანასკელს დრას სშირად იყავებთან, ან იყავით აჩანს მიტეულები. გასეთი ამბობდა, რომ სხვათა შორის გენ. ამილახვარმა გაჭვიდა წინედ 2 დეკეტინა და ესლა ვადეკ 3 დეკეტინა. ეს და ჩვენ გვთხოვენ გამოგაცხადოთ, რომ ეს ცნობა გასეთისა შეცდომა აჩის და რომ გენ. ამილახვარს კი არ გაუყვანია თავისი ნათლის მისება, ანამედ იჭარბი გაუცია რამდენიმე წელით.

„დ. რ. ე. ბ. ა.“

„დ. რ. ე. ბ. ა.“

ართვინი, გორგობისთვის 20-ს. წარსულისთვის 30-ს ართვინის მახრადამ სოფ. სვეტის ახლო გზაზე იბოვეს გვამი იმავე სოფლის მცხოვრების 27 წლის ქალისა სვერა ბულანხმედ-კიშისა, რომლის მკვლელობაც ჰბრალდება ამავე ქალის ძმას ძიამილ-ბულ-ახმედ-ოლიის. ძიამილ-ბულ-ახმედ-ოლი ამ საოცარის შემთხვევის შემდეგ გაქცეული არის.

პოლიციის გამოძიებით აღმოჩნდა, რომ მოხსენებული სვერა სტუმრად ყოფილა თავის ნათესავთან მოლლა მამედასთან, რომელიც სცხოვრებს სოფ. ლამამენ მი. იმავე თვის 29-ს შემოხსენებული ძიამილა თავის ამხანაგით სულა-მამედ-ოლით მისულიყო მოლლა მამედასთან თავის დის სვერას წამოსაყვანად; იმ დღეს მოკ-

ლულის ძმა და ამ უკანასკნელის მეგობარი დარჩენილან მოლლის სახლში და მეორე დღეს დილით გამგზავრებულიან სახლისაკენ ე. ი. სოფ. სვეტს; სვერაც ამათ ვაჟყოლია. იმავე დღეს დილით საათის 11-ზე სვერა მკვლარი იბოენეს-სოფ. სვეტის ახლო. გამოძიებით ვერ არ აღმოჩენილა, რა მიზეზით მოჰკლეს სვერა, და ან რომელმა მოჰკლა იგი; თავისმადეძმამ ძიამილამ, თუ ამ უკანასკნელის ამხანაგმა სულა-მამედ-ოლიმ, რომელიც ამ ქამად დაქვრილია და დატუსალებული და რომელიც თავის თავს მკვლელობაში დამნაშავედ არ აღიარებს.

პქ, ამ გვარი შემთხვევის დროს საზოგადოდ, რადგანაც ართვინის მახრადამ გამოძიებელი არ არის, ადგილობრივი ადმინისტრაცია აგროვეს ცნობებს და ადგენს პროტოკოლს, რომელსაც უგზავნის ბათუმის გამოძიებელს და ეს უკანასკნელი იბარებს მოწმებს, თუ სხვა პირთ, რომელთაც შეეცხვათ საქმე და ბათუმში აწარმოვეს გამოძიებას; ამის გამო ართვინის მახრის მცხოვრებნი დიდ შეწუხებაში არიან, მომეტებულად ზამთრის განმელობაში, რადგანაც ართვინი საკმაოდ შორს არის ბათუმზე. წარმოიდგინეთ, რომ ამ საწყალ ხალხს ცალკე რამდენჯერმე იბარებს გამოძიებელი ბათუმში და შემდეგ, საქმის გარჩევის დროს, მუთისის ოლქის სასამართლო მუთისში. ბევრნი მოწამეთაგანი გამოძიებელთან თავის ჩვენებას ან ამრუდებენ და ან სრულებით არას ამბობენ, იმ იმედით, რომ უკეთეს გამოძიებელთან ნამდვილი ჩვენება არ მივეცი, ოლქის სასამართლო საჭიროდ აღარ დაინახეს მეორედ ჩვენების ჩამორთმევასა და ამით განეთავისუფლდები მუთისში წასვლისაგანაო. მაგრამ მათი აზრი და მათი იმედი, რასაკვირველია, არ გამართლდება ხოლმე.

მხოლოდ შემოდ მოხსენებულის სვერას საქმის გამო, მოწამეთა სასიხარულოდ, ეს წესი შეიცვალა. ბათუმის გამოძიებელი თ. მ—ძე ძველი თუ ახალი საქმეების გამოსაძიებლად თავადვე მოვიდა და პირველადვე შეუდგა სვერას საქმის გამოძიებას. მოწმად სხვათა შორის დაბარებული იყო სვერას დედაც ბულიშანა, რომელიც საკმაოდ მოხუცებული არის; ამას, ჩვენების დროს, გამოძიებელისათვის გამოუცხადებია, რომ, უკეთეს პირობას მომცემთ და ამ საქმის გამო ბათუმში და ან მუთისში აღარ დამიბარებთ, ყველასვერს ნამდვილს ვილაპარაკებ და თუ არა,—მე ამ საქმისას არასვერს ვიტყვიო.

შფრო მომეტებულ შეწუხებაში არის, ამ გვარ შემთხვევებში არღანუჯის მახრის ხალხი და შავშეთ—იმერხეის მცხოვრებნი, რადგანაც ეს მახრები უფრო დაშორებული არიან ბათუმზე, ვიდრე ართვინის მახრა.

მე ვგონებ, ურიგო არ იქმნება, ვისიც ვერ არს, ყურადღება მიქცეთ ამ ხალხის შეწუხებას და ერთი

გამომძიებელი ცალკე დაუნიშნოს ართვინის მახრას, მაგრამ კიდევ უმჯობესო იქმნება, რომ მუთისის ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილებაც წელიწადში ერთხელ მაინც ეწვიოს ხოლმე ამ მახრას და ადგილობრივ გაარჩიოს ყოველი საქმეები.

აწთვინელი.

„დ. რ. ე. ბ. ა.“

მუთისი, დეკემბრის 8-ს. მუთათურები წლევედელ შემოდგომას ვერ დევმდებოდნენ. ზაფხულმა თუ ხშირი წვიმებით შეგვაწუნა, მაგიერად შემოდგომამ გვასამოივნა კარგი ტაროსებით. ხალხის სისალის შესახებაც საყვედური არ გვეთქმის: არ გავიგონია ჩივილი არაერთი ავადმყოფობაზე. მოწმენდილი ცა, თბილი ჰავა და ხმელი ჰაერი სასარგებლოდ მოქმედობდენ კაცის ჯან-მრთელობაზე. ზამთარიც კარგი ამინდით დაიწყო.

ამ თვის სამს პრინც ოლდენბურგის თაონობით ვაიმართა მარულა. ხალხი ბლომად დაეწრო; კიდევ უფრო მეტი იქმნებოდა, რომ უქმე დღე ყოფილიყო. მგონებთ, შეძლავალი ვერ დაფარვიდა გასავალსა. ამ დღეში ჩვენ გაგვაკვირვა ერთმა ცხენოსანმა, თორმეტი წლის აფხაზმა. მარლად იჯდა ბავშვი — აფხაზი ცხენზე, მარლად აჭენებდა და თან მარლად დაჰკვირებდა მას. პრინცი არ აუღია პატარა ცხენოსანს, მაგრამ ვაჟაკობის სახელი-კი დაიმსახურა. ამბობენ — პრინც ოლდენბურგისას აქესა განზრახვა ყოველ წლობით. ბაიმართოსო მუთისში დოლი. დოლი სასარგებლო რამეა და ამისათვის სრულის მადლობის ღირსია მათი შმაოლესობა.

ზოდანელის კილაობამ ააღაპარაკა მთელი მუთისი. ზიდაობა მოსაწონია; ხალხს ავარჯიშებს ჭიზიკურად, მაგრამ ამ სახალხო გართობას უნდა ჰქონდეს; ხალხურივე ხასიათი, ჰიდაობა, ბურთაობა და სხვ. სახალხო გართობანი ჩვენში უსასყიდლო იყო და დღესაც ასე უნდა იყოს, რომ რამე სარგებლობა მოუტანოს ხალხს.

რამდენჯერმე ცეცხლი გაჩნდა აქ. ღროთი მიეწველენ და ზარალი დიდი არ უნდა ყოფილიყო არსად.

თავდება წელიწადი. ღმერთმა მშვიდობის გზა მისცეს—ვერაფერ ხეირს შეგვყარა. რა ენახეთ? ძოტობა, უთანხმოება, შური, სასწავლებლებში უუკანსიობა, ბანკის მოვალეთა საქმის აწეწ-დაწეწა, სიღარიბე, ხმოსანთა განსვენება, ქუჩების და ბაზრების უსუფთაობა, და სხვა-და სხვა... ბავიგორებ — ღმერთმა მშვიდობა მიანიჭოს ამ წელიწადს.

აღ. აბ.

უცხოეთი.

საზრანგეთი. ლონდონში თითქმის არა სჯერათ, რომ საფრანგეთმა გაბედოს ჩინეთთან ომის გამოცხადება. ასტყდება, თუ არა ეს ომი, და ნაჩვენებია სახეწიფონი უეჭველად ნეიტრალიტეტს გამოაცხადებენო და საფრანგეთის გემებსაც აღარ მისცემენ ნებას კვლავ ისარგებლონ ბონკონგის ქვა-ნახშირითაო, რაც მოსალოდნელის ომისათვის მიუცილებელს საჭიროებას შეადგენსო.

ჩინეთის გაზეთები იწერებინან, რომ მეროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ჩინეთის სატახტო ქალაქს პეკინში გადაწყვიტეს შეკრება და მოლაპარაკება იმ ღონისძიების მოსაპოვებლად, რომლითაც შეიძლება აღდგეს მორიგება საფრანგეთისა და ჩინეთისა.

ინგლისი. ინგლისმა ახალს პირს ჩააბარა მმართველობა თვისის სამფლობელო ინდოსტანისა. ეს პირია ლორდ ლიუჩერინი, რომლის დანიშნვას ინდოსტანის ვიცე-კოროლად ძლიერ სასარგებლოდ რაცხვენ ინგლისში. ლორდ ლიუჩერინი დაახლოებით მცოდნეა რუსის პოლიტიკისა. ინგლისის სამფლობელოს ინდოსტანს საზღვრენ რუსეთის სამფლობელონი და ამის გამო, ვინიციობაა, შემთხვევა რამ იქნეს, დიდად გამოსადეგი იქმნება რუსის პოლიტიკასთან გაცნობილი კაცი. — მაგრამ ამ გარეშე პოლიტიკის გარდა — დიდის სიფრთხილით მოქცევა მართებს ახალს ვიცე-კოროლს ინდოსტანის შინაგან პოლიტიკისაც. ინდოსტანი ეხლა ის აღარ არის, რაც აღრე იყო, სწერს გაზ. „დალა ნეუსი“. ოითქმის ყოველივე მზივ შეგნებული შეიქმნა ეს ქვეყანა და მასში მცხოვრებთ ეხლა ისე ვეღარ მოეპოვები, როგორაც დამონაგებულ ხალხსო. ძნელია, რომ ერთსა და იმავე დროს დაკმაყოფილდეს ამ ხალხის მოთხოვნილება და მისი მფლობელის, ინგლისის, სურვილითაც ხელმძღვანელობდეს. ეს ვერ შესძლოა ლიუჩერინის წინა-მოდგილემ რიზონმა და ვადაზედ აღრე დათხოვნილ იქმნა თანამდებობადად.

ინდოსტანელებისაგან მადლობა და პატივისცემა გაჰყვა რიზონს და მთავრობისაგან კი, ინდოსტანში მცხოვრებ ინგლისელებს ჩაბეზღების წყალობით, სამღურავი.

თუმცა ინგლისის ძორაოლევის სახალისი მცველები ვამარაველეს, მაგრამ ძორაოლევა იმდენად შეაშინა ამ უკანასკნელ ხანებში ვილაც საეკეო პირების ხშირად ავლა-ჩამოვლამ სახალისი მახლობლად, რომ განზრახვა აქვს მომავლის დღესასწაულების შემდეგ ოსბორნიში გადავიდეს, კუნძ. შაიტზე.

ლორდთა პალატის ერთს წევრს განუცხადებია, რომ პარლამენტის მო-

მეალ სხდომებზედ ის მიაკცევს პალატის ყურადღებას სოციალიზმის გავრცელებას ინგლისში. ეს წევრის განზრახვა რაკი განხორციელდა, რამდენიმე კუვირის სოციალისტებისას გადაუწყვეტიათ შეადგინონ დაწერილებითი ცნობანი თავიანთ შეძლება — ძალაზე, განმარტონ პროგრამა თვისს მოქმედებათა, ყოველივე ეს წარუდგინონ ხსენებულს წევრს და სთხოვონ მას გადასცეს ყველა ეს ცნობანი თავის ამხანაგებს პარლამენტში.

ხალხური ლამაზი

კახეთში გაგონილი.

I

შამილი ვადმოერევა

პირველ მკათათვის დღესაო, სახლებსა სწვავენ და დაგვენ, მაჟ-კაცებს სკრიან ყელსაო.

ძალი და რძალი წაასხეს —

ბადაუყენეს მთებსაო: შერევენ ერთსა საყდარში, ბამოუყეტენ კარსაო.

ბელადი ეუბნებოდა:

— მე გიბელადეთ დღესაო, საბელადოს გამოგართმევთ, შიგ ამოვარჩევ ერთსაო.

შევიდა გამოარჩია,

ლამეს ანათებს ბნელსაო:

— შენი ჰირიმე ლამაზო, ნუ მოიგონებ ძმებსაო, ქელთამდინ ფულთი აგავსებ, ბარს შემოგაყრი ვერცხლსაო!

— შე წყულო, ლეკის შეილო,

მე როგორი სიტყვა გაქვსო?

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

ცელეკრები

(„ხრდილეკეთის საეკეტისი“)

დეკემბრის 12.

კამარბ შრბი. როგრც ისმის, სა მკვიდროებზე დადგენილის გადასახადის წესი უნდა შეიცვალოს. თუ რომ შემკვიდრენი ვერ შესძლებენ გადასახადის ზღვევას, იმ შემთხვევაში ხვედრი გადასახადი სამკვიდროდამ იქმნება ადებელი.

ეს. კამარბ. უწყუბანი იწერებინან, მგებიაო, რომ მიდებულ იქმნეს ზომები კატორგამი გაგზავნილ ავანგების გაქცევის წინააღმდეგ.

ოღმა. სმირნაში არსებული აქციონერთა გამხანია აგებს რეზერვუარებს ბაქოს ნავთისათვის, რომ აქედამ გაგზავნოს შემდეგ ოსმაღეთის, საბერძნეთის და ეგვიპტის ნავთ-სადგურებში.

ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მრქალაქეთ დასსეს სასსკრად 4 აპრილის 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებინ დიდის 8 საათიდან 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები:

ტერ-გრეგორიანცი — 8 საათიდან 9 საათამდინ. საბუიო, სხაჯებო და სხაგუეო ავადმყოფობის საწამლეულად;

ადამიანცი — 9-დან 10-სათამდე შინაგან და ნეკრუელ ავადმყოფობათა საწამლეულად;

ბენკლევესკი — 10—11 საათამდე. — სსხირურგო, სსსიფილისო ავადმყოფობის წმელობისათვის და აგრეთვე კბაღისა და ყურის ტკივილის საწამლეულად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სსეულზე კბამოყრისა მუწუკების წმელობისათვის. ამას გარდა გარადღევირი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წმელობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობათ, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წმელობისათვის 10—11 საათამდე; მინკევირი სამშაბათობით და შაბათობით 9—10 საათამდე სირურგოული ავადმყოფობისათვის; ნამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლეულად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და შაბათობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წმელობისათვის; ვოლტსონი კბაღის ტკივილის საწამლეულად მიიღებს თავის სასლში ყოველთვის დარბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

საავადმყოფოს დირამტორი ბ-ნი მკამიშვი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარემე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარ-

სებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მისაღებობად შემოღებული არის მკურნობთა მელაგობისათვის ლამამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ამიამი:

არშთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიძ-შარსაღანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბამიამი:

ფილჩაქოვისა, სამშაბათობით.

ბაზინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტაშანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლომონა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ლუქნებში და ხელდა-ხელ 1 დეკემბრიდან 16 დეკემბრამდე 1885 წ.

გამომცხვავი ბური რუ-სეთის ფუქვილისა — 1 გირ. 5 კ.

აქაურის ფუქვილისა: ბირ-კელის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2

მეორისა — 1 გ. 2 კ.

იმავე ფუქვილ. თორნეში გამომცხვავი: ბირკული ხარისხისა — 1 გ. 4 1/2

მეორისა — 1 გ. 3 კ.

მესამისა — 1 გ. 2 1/2

ჭკაკის-მამი ბური:

ბირკული ხარის. ლავში 1 გ. 4 1/2

მეორის ხარის. ლავში 1 გ. 3 1/2

მესამისა — 1 გ. 3 კ.

ძრახის ხარისცი:

ბირკულის ხარისხისა — 1 გ. 7 კ.

მეორისა — 1 გ. 6 კ.

სუგა — 1 გ. 14 კ.

ტხვრის ხარისცი — 1 გ. 7 კ.

დორის ხარისცი:

ბირკულის ხარისხისა — 1 გ. 7 კ.

მეორისა — 1 გ. 6 კ.

რკინის ბზა

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდან მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუაღლის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით.

(სამშაბათობით და შაბათობით სხაჯარა 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუაღლ. უკან. ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუაღლის უკან. ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით. ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით. ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით. მარტო ხაშურიდან მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით.

ბაქოებში მომავალი შემოდის... 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

კლისო

მოთხრობა ჩვენსეთ ცხოვრებადგან... თხზულება

ა. მ. მარხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიჭოვკის... წიგნების მაღაზიაში და ანკრუსისუელს...

ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. 6. ალექსეევ მესხივეთან;

ბეჭდებს და ამ მოკლე სახში გამოცემა... მარხუბარიძისა, ისტორიული მოთხრობა...

0000000000000000000000000000000000

რვაულები

ქართული წერილობითი, სახმარებელი ზოგებშეიღოს... თხზულება ბრიტოვრის წიგნების...

0000000000000000000000000000000000

ОБЪ ИЗДАНИ ВЪ 1885 ГОДУ ЖУРНАЛА

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРЕНИЕ“

(ГОДЪ ПЯТЫЙ)

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:

- I. Статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теории права и судопроизводства. II. Перечень, изложение и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства. III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края. IV. Корреспонденціи юридическаго содержания. V. Краткіе отчеты о новыхъ книгахъ юридическаго содержания (Обзоръ юридической печати и библиографія). VI. Смѣсь (разныя извѣстія). Случаи изъ судебной жизни и практики. VII. Тезисы и текстуальное изложение кассационныхъ рѣшеній: а) департаментовъ сената и б) Тифлисской судебной палаты. VIII. Извлечение изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи. IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассационнымъ. X. Объявленія—казенныя и частныя.

Выполнивъ, по возможности, свои прошлагоднія обѣщанія предъ читателями, редакція „Юрид. Обзор.“ постарается приять своему журналу въ будущемъ году еще большій интересъ, при содѣйствіи многихъ и нѣкоторыхъ новыхъ сотрудниковъ.

Кромѣ статей общаго юридическаго характера по вопросамъ гражданскаго и уголовнаго права, межевымъ, нотаріальнымъ, судебно военнымъ и пр., а также о внутренней жизни кавказскихъ судовъ и о вопросахъ дня, — въ 1885 г. будутъ помѣщены: грузинскіе законы царя Вахтанга, съ необходимыми предисловіемъ и примѣчаніями, и продолжены изслѣдованія законовъ: армянскихъ—по Мхитару Гошу, еврейскихъ—по Маймониду, мусульманскихъ, собственно Кавказскихъ народностей ихъ адаты и пр.

У С Л О В Я П О Д П И С К И :

Редакція и администрація журнала (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Соловская ул., д. вн. Меликова.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.; на 1 мѣс.—1 р. 25 к.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ:

при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.

Для гг. студентовъ плата 8 р., полугод вая—5 р.

Желающіе приобрести журналъ за прежніе года, уплачиваютъ: за 1881 г.—8 р. 20 к. и за всѣ послѣдующіе по 10 руб. за годовой экземпляръ.

При перемѣнѣ адреса вносятъ 40 к. За объявленія, казенныя и частныя—строка петита 10 коп., 1/2 страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 руб 50 коп.

При доставленіи въ редакцію „Юридическаго Обозрѣнія“ экземпляра юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація.

Подписчики „Юрид. Об.“ имѣютъ право на полученіе, черезъ редакцію, свидѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тифл. судеб. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, а письменныя и телеграфныя—по соглашенію съ ред. журнала.

Редакторъ-издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ

(7—5).

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ „ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“

НА 1885 ГОДЪ

(ВОСЬМОЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

У С Л О В І Я П О Д П И С К И :

Въ Тифлисъ, съ доставкою на домъ, 3 руб. На годъ. Иногороднымъ съ пересылкою. . . 4 руб. 20 к.

Цѣна отдѣльнаго номера газеты 3 коп.

Подписка принимается исключительно въ конторѣ редакціи „Тифлисскихъ Объявленій“, на Барятинской улицѣ, въ домѣ Ротина (бывшій Бѣлаго), ежедневно, кромѣ воскресныхъ и праздничныхъ дней, съ 10 ч. утра, до 2 час. пополудни, и съ 5 до 8 час. вечера.

Иногородные адресуютъ свои требованія въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Тифлисскія Объявленія“. Редакторъ-Издатель Т. Б. Поповъ.

(3—1)

მომხადება და გასყიდვა ხსენებულის წასამელის წამლისა, რომელიც არა ვითარი კაცის ჯანისათვის მავნებელი ნაფთიერება არ ურევია, ნება — დართულია მოსკოვის საექიმო მმართველობისაგან საერთო სავაჭრო წესით.

შენი პერუენელ საბაღზამო მცენარეთაგან, ღიღის ხნიდამევე ყველა ქვეყნებში ცნობილი საშუალება.

სომრის და ლამაზის წამლის გასაზრდელად. შენი, რომელსაც ამხადებენ პერუენელ მცენარეთაგან, როგორც ვიცით, ზოგიერთა თმის საზრდელ და თმაზე წასამელ წამლების არევით, იღებთ შესანიშნავს თვისებას წვერის თმის ძირის გამაგრებისთვის და საკვირვლად სწრაფად ეხმარება მის ზრდას.

ეს საშუალება ისეთი ნამდვილი საშუალებაა, რომ პერუენის ხმარებით თვით ახალ-გაზდა ემაწვილებსაც კი რამდენსამე კვირის შემდეგ, ეხრდებათ მშვენიერი და ხშირი წვერი.

მრავალი სამაღლობელი წერილები. მოწმობენ განსაკვირვებელს მოქმედებას, ფასი შუშისა 1 მან. 50 კაპ.

შმათერესი დებო ამიერ-ქავასისათვის თბილისში საზოგადოება სააფთიქო საქონელითა და მასლით ვაჭრობასა და მისი განყოფილება ბაქოში. II. 19,475.

(10—5)

საუკეთესო საშუალება აქამოდე ცნობილ საშუალებათა შორის.

შეკრად სწვევლავ ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. შრიტინებს, პრუსაკებს, ბაღონჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის კიებს და სხვ.

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამოგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშკა ბუჩქლის“ ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველ რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში. შმათერესი დებო ამიერ-ქავასისათვის არის თბილისში, ქავკასიის საზოგადოება სააფთიქო საქონელით ვაჭრობასა და მისი განყოფილებაში ბაქოს. II. 19,485

(25—5)